

ძვირფასო კოლეგებო,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 2008 წლის იანვრიდან რეგულარულად, ყოველთვიურად მოგაწვდით ინფორმაციას მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. ინფორმაცია გავრცელდება ელექტრონული ფოსტით, ე. წ. Newsletter-ს სახით და დაგეგმება თსუ აკადემიურ, წარმომადგენლობით და მრჩეველთა საბჭოებს, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტურ თვითმმართველობას, თსუ ფაკულტეტების და ცენტრალურ ადმინისტრაციას. იგივე ინფორმაცია განთავსდება ვებ-გვერდზეც: [www.tsu.edu.ge/qa](http://www.tsu.edu.ge/qa)

### სასწავლო პროგრამების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები

2008 წლის 30 იანვარს ამოიწურა აკადემიური საბჭოს მიერ 2007 წლის 28 დეკემბრის № 67 დადგენილებით დამტკიცებული სადოქტორო პროგრამების სასწავლო კურსების/მოდულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარმოდგენის ვადა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა სილაბუსის შემოწმების დამატებითი კრიტერიუმები და ფორმა, რომელიც ჩაენაცვლება ძველ, დღემდე მოქმედ ფორმას (ძველი ფორმა და კრიტერიუმები იხ.: <http://www.tsu.edu.ge/qa/doc/syllabus%20evaluation%20form-internet.doc>). დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ სილაბუსის შემოწმების ახალ კრიტერიუმებსა და ფორმას შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <http://www.tsu.edu.ge/qa/doc/syllabusevaluation2008.pdf>. სწორედ ამ ახალი ფორმითა და კრიტერიუმებით შეფასდება სადოქტორო პროგრამების სასწავლო კურსები/მოდულები, ხოლო შეფასების შედეგები ცნობილი გახდება 2008 წლის 29 თებერვალს.

### სტუდენტთა გამოკითხვა

2008 წლის იანვარში ექვსივე ფაკულტეტზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით განხორციელდა სტუდენტთა გამოკითხვა მათ მიერ მოსმენილ სალექციო კურსებთან დაკავშირებით. გამოკითხვა მიზნად ისახავს იმის გარკვევას, თუ რამდენად კმაყოფილები არიან სტუდენტები მოსმენილი ლექციების შინაარსით, რამდენად შეესაბამება ლექცია პედაგოგის მიერ შეთავაზებულ სილაბუსს და რამდენად ეფექტურად იყენებს ლექტორი სწავლების თანამედროვე მეთოდებს და სხვ. გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნდება 2008 წლის აპრილის დასაწყისში.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [http://www.tsu.edu.ge/qa/doc/kitxvari\\_08.pdf](http://www.tsu.edu.ge/qa/doc/kitxvari_08.pdf).

2008 წლის მარტსა და აპრილში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს მაგისტრანტების გამოკითხვას დღეისათვის უნივერსიტეტში მოქმედი სამაგისტრო პროგრამების თაობაზე და აკადემიური პერსონალის გამოკითხვას სწავლებისა და კვლევის პირობების შესახებ.

## რეკომენდაციები აკადემიურ საბჭოს

2008 წლის იანვარში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შემდეგი რეკომენდაციებით მიმართა თსუ აკადემიურ საბჭოს:

1. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა განსაზღვროს და პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მიუთითოს ის უცხო ენები, რომელთა ჩაბარების უფლებასაც მივცემთ მომავალ მაგისტრანტებს; 2. მაგისტრატურაში შემსვლელთათვის გამარტივდეს უცხო ენის საგამოცდო საკითხები. მოხდეს მათი დიფერენციაცია ფაკულტეტებისა და სამაგისტრო პროგრამების მიხედვით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციების ნაწილი აისახა აკადემიური საბჭოს 2008 წლის 9 იანვრის № 74 დადგენილებაში. კერძოდ, აკადემიურმა საბჭომ “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, დაადგინა:

1. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა განსაზღვროს და პროგრამებზე დაშვების წინაპირობად მიუთითოს ის უცხო ენა ან ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, რუსული), რომელთა ჩაბარების უფლებასაც აძლევს მომავალ მაგისტრანტს. 2. მაგისტრატურაში შემსვლელთათვის უცხო ენის გამოცდის საკითხები შეიძლება განისაზღვროს დიფერენცირებულად ფაკულტეტებისა და სამაგისტრო პროგრამების მიხედვით (დადგენილება სრულად იხ.: <http://www.tsu.ge/news/acadc/d74.asp>).

ზემოთ აღნიშნულ რეკომენდაციებს საფუძვლად დაედო საუნივერსიტეტო სამუშაო კონფერენცია “ენების სწავლება უნივერსიტეტში: პრობლემები და პერსპექტივები”, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა 2007 წლის 20 დეკემბერს, (ინფორმაცია დეტალურად იხ.: <http://www.tsu.ge/qa/doc/language-conference.pdf>).

## მოთხოვნები და რეკომენდაციები თსუ სასწავლო პროგრამების მოდიფიკაციასთან დაკავშირებით

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა არსებული სასწავლო პროგრამების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე შეიმუშავა მოთხოვნები და რეკომენდაციები საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მოდიფიკირებისა და სრულყოფის მიზნით. აღნიშნული დოკუმენტი განსახილველად დაეგზავნათ განათლების სფეროს ექსპერტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.

“თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი კურსულუმის დანერგვა გამოყენებითი ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიების მიმართულებით” –

**TEMPUS პროექტი CD\_JEP-27218-2006 (GE)**

22-23 იანვარს გაიმართა აღნიშნული პროექტის მონაწილეთა და დაინტერესებულ პირთა პირველი სამუშაო შეხვედრა. მისასაღმებელი სიტყვები წარმოთქვეს: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. გ. ხუბუამ, ტემპუსის ეროვნულმა კოორდინატორმა ქ-მა თამარ წულუკიძემ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა პროფ. რამაზ ბოჭორიშვილმა, მოწვეულმა ბრიტანელმა ექსპერტმა პროფ. პენრი პარიმ, განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორმა ქ-მა ნინო ჩუბინიძემ.

კონფერენციაში აგრეთვე მონაწილეობდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციის წევრები და აკადემიური პერსონალი, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და წევრები. პროექტი წარადგინეს პროფ. სტივენ ნილმა და პროექტის კოორდინატორმა, პროფესორმა ნინო ინასარიძე. დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელმა დოქტორ დეივ ლაშმა წარმოადგინა ბიოლოგიური და ბიოსამედიცინო მეცნიერებების მდგომარეობა დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტში. დასავლეთის ინგლისის უნივერსიტეტის აკადემიური ხარისხის და სტანდარტების დირექტორმა დოქტორ ეგლის პრაულიტისმა, დუბლინის ტექნოლოგიების ინსტიტუტის უფროსმა ლექტორებმა, დოქტორებმა პოლ მატიასმა და პატრიკ მაკჰალემ, არისტოტელეს სახელობის თესალონიკის უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის პროფესორმა დოქტორ ქრისტოს დორდასმა წარმოადგინეს მოსხენებები დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტში, დუბლინის ტექნოლოგიების ინსტიტუტში, არისტოტელეს სახელობის თესალონიკის უნივერსიტეტში საკვებწარმოებისა და აგრობიოტექნოლოგიის სასწავლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების შესახებ. თსუ ასოცირებულმა პროფესორმა მარიკა გაიდამაშვილმა წარმოადგინა ბიოლოგიური და ბიოსამედიცინო მეცნიერებების მდგომარეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მოსხენებების დასასრულს გაიმართა დისკუსია, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და დაიწყო მუშაობა “გამოყენებითი ბიოლოგიის” საბაკალავრო პროგრამის შემუშავებაზე.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ასოც. პროფ. ირინე დარჩიას დაევალა სათანადო დოკუმენტაციის მომზადება, რომლის საფუძველზეც თსუ რექტორმა და აკადემიურმა საბჭომ უნდა მიმართონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინადადებით, შევიდეს ცვლილება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის № 633 ბრძანებაში და ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალს (ე. წ. კლასიფიკატორს) დაემატოს გამოყენებითი ბიოლოგია.

ანონსი:

**კონფერენცია: საკომუნიკაციო უნარების განვითარება საუნივერსიტეტო კურიკულუმში: აკადემიური წერა**

2008 წლის 28 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით ტარდება კონფერენცია თემაზე: “საკომუნიკაციო უნარების განვითარება საუნივერსიტეტო კურიკულუმში: აკადემიური წერა”. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ თსუ პროფესორ-მასწავლებლები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტები, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის (CSS) თანამშრომლები. კონფერენციის დასასრულს შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც კონფერენციის მასალებისა და შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც გათვალისწინებული იქნება თსუ აკადემიური პროგრამების შემდგომი სრულყოფის პროცესში.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი: ანასტასია ზაქარიაძე, ეკა ლეკაშვილი, გოჩა მამულაშვილი, ია ნაცვლიშვილი, გურამ ქუთელია, ნინო ჩიხლაძე, ნინო ჯავახიშვილი.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე: ირინე დარჩია. საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი: გიული კალატოზიშვილი.

*ძვირფასო კოლეგებო,*

*ველით თქვენს შენიშვნებს, წინადადებებსა და მოსაზრებებს უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებით.*

*დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ: ტელეფონი: 22 71 78, ელექტრონული ფოსტა: [tsuqa@tsu.ge](mailto:tsuqa@tsu.ge), [irinedarchia@tsu.ge](mailto:irinedarchia@tsu.ge)*

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი  
ასოცირებული პროფესორი ირინე დარჩია

31. 01. 08